

ბიზნის

ინოვაციური განვითარების

# ბუნდი GoGeoGo და ჩვენი წარმატების ისტორია



თამარ თათეშვილი  
აპლიკაციის და  
ბიზნეს გეგმის  
შემქმნელი




საბა ზედგინიძე  
გრაფიკული  
დიზაინერი და  
რეკლამირება



სალომე  
თათეშვილი  
ინფორმაციის  
მომძიებელი

# გადავწყვიტეთ შეგვემნა მობილური აპლიკაცია...

- ჩვენს თემში მიმოვიხედეთ და აღმოვაჩინეთ, რომ დიდ პრობლემად რჩება ინფორმაციის ზუსტი და სწრაფი მოპოვება საზოგადოებრივი საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მოძრაობის განრიგის შესახებ;
- ეს ხელს უშლის საქართველოს ტურიზმის და ეკონომიკის მდგრადობის განვითარებასაც.






## იდეის სრულყოფილებისთვის დაგვირდა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა:

- გადაწყვეტეთ მიგველო მონაწილეობა ათასწლეულის ინოვაციის კონკურსში (MIA);
- გადავინაწილეთ როლები;
- პრობლემის იდენტიფიცირებისთვის კვლევა ჩავატარეთ როგორც უცხოელებთან ასევე ადგილობრივ მაცხოვრებლებთან;
- მოვიძიეთ ინფორმაცია კოდირებაზე და აპლიკაციების კომფორტული დიზაინის შექმნაზე;
- შევქმენით აპლიკაცია და ავტვირთეთ Play Store-ში.

# ანდროიდ მობილური აპლიკაცია- GoGeoGo

- გავეცანით პროფესიონალების მიერ შექმნილი აპლიკაციების პრინციპებს;
- ჩვენი აპიც მარტივად მოსახმარი და კომფორტული გავხადეთ.



# რატომ არის ჩვენი პროექტი ინოვაციური, აქტუალური და პერსპექტიული?



- სწრაფად და მარტივად მოსახმარია, მოიცავს ბევრ საჭირო ინფორმაციას საქართველოში საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის შესახებ და მუდმივად განახლებადია;
- პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას;
- პროექტი ეხმარება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს: ეკონომიკის ზრდა და მდგრადობა;
- პროექტი, ტექნოლოგიურ ინოვაციასთან ერთად, მოიცავს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას.

# ჩვენი პროექტის წარმატება

- ჩვენი პროექტის აპის შექმნით და Play Store-ში ატვირთვით ის გავუზიარეთ მომხმარებლებს;
- GoGeoGo-ს წევრებმა წარვუდგინეთ ჩვენი პროექტი ჟიურის წევრებს MIA-ს კონკურსზე და დავიკავეთ მესამე ადგილი 2020 წელს;
- მილენიუმის პარტნიორმა, საექსპატენტმა, დაგვასახელა WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების ახალგაზრდა ელჩების კონკურსზე 2021 წელს და დავიმსახურეთ IP Youth Ambassadorship-ის ტიტული.

# ჩვენი პროექტის წარმატება

- ჩვენს გუნდს WIPO-ს თანამშრომლებთან აქვს ხშირი კონტაქტი და მათთან ერთად ვახორციელებთ სხვადასხვა აქტივობას;
- WIPO-ს ოფიციალურ საიტზეც გამოქვეყნებულია ჩვენი წარმატების ისტორია, რაც ჩვენი აზრით ახალგაზრდებს მოტივაციას კიდევ უფრო აუმაღლებს.





# ჩვენი მიზანი როგორც IP ახალგაზრდა ელჩების

- ავამაღლოთ ცნობიერება ახალგაზრდებში ინტელექტუალურ საკუთრების თემატიკაზე;
- მივცეთ მოტივაცია ახალგაზრდებს, რათა დატოვონ კომფორტის ზონა და მათი იდეები აქციონ დაუვიწყარ ინოვაციებად;
- დავაკვალიანოთ ახალგაზრდები პროექტების ორგანიზებაში და განხორციელებაში;
- დავაორგანიზოთ სხვადასხვა აქტივობები საქპატენტთან და WIPO-სთან ერთად რათა ახალგაზრდებს მივცეთ უფრო მეტი შესაძლებლობა თვითგანვითარებისთვის.

# ასალგაზრდებს ვურჩევთ...

- ინოვაციებს ყოველთვის მისცეთ განვითარების პერსპექტივა;
- არ შეჩერდეთ, არ შეგაშინოთ დაბრკოლებებმა, მთავარია გქონდეთ მომავლის ხედვა და მისკენ მიისწრაფოდეთ;
- ყოველთვის იზრუნეთ თქვენი პროექტის გაუმჯობესებისთვის და არ შეგეშინდეთ მცირე დახმარების თხოვნა...

არ დანებდეთ, რადგან თქვენს ინოვაციებს სამყაროს უკეთესობისკენ  
შეცვლა შეუძლია!



მადლობა  
ყურადღებებისთვის!